საქართველოს კანონი

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 86) მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. საქართველოს თავდაცვის ძალებს და მათ შემადგენლობას, აგრეთვე სამინისტროს და მისი მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს აქვთ დროშა, ემბლემა, ინსიგნია და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო, რომლებსაც ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

22 თებერვალი 2019 წ.

N4316-IIს